# საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №164-ში (ს/კ 01.19.36.013.011); №158-ში (01.19.36.013.037); №156 (01.19.36.013.027); № 154 (01.19.36.013.020); №152დ (01.19.36.013.012); №66 (01.19.36.013.046);

არსებული შენობების დემონტაჟის მომიჯნავე შენობებზე ზებავლენის შესახებ

თბილისი

2026წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩის №164-ში (ს/კ 01.19.36.013.011); №158-ში (01.19.36.013.037); №156 (01.19.36.013.027); № 154 (01.19.36.013.020); №152დ (01.19.36.013.012); №66 (01.19.36.013.046); არსებული შენობების დემონტაჟის მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის შესახებ.

სამშენებლო ტერიტორიაზე ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩის №164, ს/კ (01.19.36.013.011), №158 (01.19.36.013.037), №156 (01.19.36.013.027), №154 (01.19.36.013.020); №152დ (01.19.36.013.012); №66 (01.19.36.013.046); განლაგებულია სამი ერთსართულიანი, ერთი ორსართულიანი სადემონტაჟო შენობა-ნაგებობა და ორი ბარაკული ტიპის მიშენება

შენობა-ნაგებობის დახასიათება: 01/1 (ს/კ 01.19.36.013.011) წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, ერთსართულიანია. აგებულია ბეტონის ბლოკისგან, გამაგრებულია რკ.ბეტონის გულარებითა და სარტყლით. გადახურულია ხის ნივნივებზე დაყრდნობილი ლითონის ბურულით, საძირკველი-რკინა-ბეტონის ფილა, ჩაღრმავება 0.5 მ.

სადემონტაჟო შენობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ორი შენობა:

01/1 (01.19.36.013.032 და 01/1 (01.19.36.013.035). მომიჯნავე შენობები კარკასული ტიპისაა, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. არ აღენიშნებათ ბზარები და ჯდენითი დეფორმაციის ნიშნები. დაშორება საპროექტო და მომიჯნავე შენობებს შორის შეადგენს 1.45 მ. საძირკვლების ჩაღმავება 0.3 მ. დასაშვები მანძილი სადემონტაჟო საძირკველსა და მომოჯნავე საძირკველს შორის, მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სადემონტაჟო შენობები დაფუძნებულია თიხნარ გრუნტზე. წარმოდგენილია მოყვითალო თიხნარებით, წვრილი ხვინჭის ჩანართებით. გრუნტის ძირითადი ფიზიკო-მექანიკური თვისებებია: საანგარიშო წინაღობა $R_0$=2.0 კგძ/სმ$^2$; დეფორმაციის მოდული E=170 კგძ/სმ$^2$; მოცულობითი წონა $\rho$=1.87 გ/სმ$^3$; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.17კგძ/სმ$^2$; შიგა ხახუნის კუთხე $\varphi=22^0$.

სადემონტაჟო შენობის საძირკველსა და მიმდებარე შენობების საძირკველს შორის ნორმებით გათვალისწინებული მანძილი შეადგენს:

$$a \geq \frac{\Delta h}{\mathrm{tg}\varphi 1+\frac{c1}{p}}$$

საიდანაც: $\Delta h$=0.5−0.30=0.2 მ; p=2.00 კგძ/სმ$^2$.

p - საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვაა.

$$a=\frac{\Delta h}{\mathrm{tg}\varphi 1+\frac{c1}{p}} = \frac{0.2}{\mathrm{tg}22+\frac{0.17}{2}} = 0.41 \text{ მ} < 1.45 \text{ მ}.$$ პირობა დაცულია!

შენობა-ნაგებობის დახასიათება: 01/1 (ს/კ 01.19.36.013.037) ერთსართულიანი კომერციული დანიშნულების შენობა რკინაბეტონის კარკასისგან, ბლოკის მსუბუქი შემავსებლით. გადახურვა ნივნივებზე დაყრდნობილი ლითონის ბურული. საძირკველი რკ.ბეტონის ფილა. მოცემული შენობა ემიჯნება 01/1 (ს/კ 01.19.36.013.035)-ს, რომელიც იმავე კონსტრუქციისაა, შენობის მდგომარეობა-კარგი. საძირკვლის ჩაღრმავება ემთხვევა სადემონტაჟოს. აუცილებელია დემონტაჟისას არ იყოს გამოყენებული მძიმე ტექნიკა და დიდი ვიბრაციის მქონე ინსტრუმენტები.

შენობას სამხრეთიდან უშუალოდ ემიჯნება ერთსართულიანი შენობა 01/1 (01.19.36.013.035). შენობებს აქვთ ცალკემდგომი საძირკვლები და გარე შემომსაზღვრელი კედლები. ორივე შენობის საძირკველი განლაგებულია -0.3 მ. მანძილზე მიწის ნიშნულიდან.

სადემონტაჟო შენობის საძირკველსა და მიმდებარე შენობების საძირკველს შორის ნორმებით გათვალისწინებული მანძილი შეადგენს:

$$a \geq \frac{\Delta h}{\mathrm{tg}\varphi 1+\frac{c1}{p}}$$

საიდანაც: $\Delta h$=0.3−0.30=0 მ; p=2.00 კგძ/სმ$^2$.

p - საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვაა.

$$a=\frac{\Delta h}{\mathrm{tg}\varphi 1+\frac{c1}{p}} = \frac{0}{\mathrm{tg}22+\frac{0.17}{2}} = 0 \text{ მ} < 0.1 \text{ მ}.$$ პირობა დაცულია!

შენობა-ნაგებობის დახასიათება: 01/1 (ს/კ 01.19.36.013.027) კომერციული დანიშნულების ბარაკული ტიპის მიშენებაა. აშენებულია ბლოკის წყობით, შესასვლელთან მოწყობილია ლითონის ფარდული მსუბუქი კონსტრუქციით. ძირითადი გადახურვა ნივნივებზე დაყრდნობილი ლითონის ბურული, ნივნივები უშუალოდ დაყრდნობილია ცალი მხრიდან 01.19.36.013.020 (ასევე ექვემდებარება დემონტაჟს) შენობის კედელზე. საძირკველი - მცირე ჩარღმავების რკ.ბეტონის ფილისგან.

შენობა-ნაგებობის დახასიათება: 01/1 (ს/კ 01.19.36.013.020) ამორტიზირებული ერთსართულიანი შენობა. რკინაბეტონის კარკასითა და მსუბუქი შემავსებლით. სახურავი ნივნივებზე დაყრდნობილი ლითონის ბურული, საძირკველი – რკ.ბეტონის ფილა.

შენობა 01/2 (01.19.36.013.012) აგურის ორსართულიანი საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობა სარდაფით. აგურის მზიდი კედლების სისქე 400 მმ, აქვს მიწაში ნახევრად ჩაღრმავებული ფუნქციონირებადი სარდაფი და არაექსპლუატირებადი სხვენი. გადახურვა ხის ნივნივებზე დაყრდნობილი ფოლადის დაღარული ბურული. შენობის კონსტრუქციას დაკარგული აქვს პირველადი სახე, საჭიროებს დემონტაჟს. საძირკველი ბეტონის. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობას სამხრეთიდან ესაზღვრება ორი შენობა: 01/1 (01.19.36.013.070) და 01/1 (01.19.36.013.006), ორივე შენობა ერთსართულიანია, უსარდაფო, მცირე ჩაღრმავების მქონე ფილოვანი საძირკველით. ჩაღრმავება გრუნტის ზედაპირიდან 0.50 მ. და 1 მ. შენობა 01/.1 (01.19.36.013.070)-ის შემთხვევაში. დაშორება შეადგენს 8.2 მეტს. ვინაიდან სადემონტაჟო ობიექტის დაშლა დაგეგმილია სრულად, სარდაფის ჩათვლით, ხოლო ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან შეადგენს 3 მეტრს, საჭიროა დადგინდეს დასაშვები მანძილი სადემონტაჟო საძირკველსა და მომოჯნავე საძირკველს შორის, მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სადემონტაჟო შენობები დაფუძნებულია თიხნარ გრუნტზე. წარმოდგენილია მოყვითალო თიხნარებით, წვრილი ხვინჭის ჩანართებით. გრუნტის ძირითადი ფიზიკო-მექანიკური თვისებებია: საანგარიშო წინაღობა $R_0$=2.0 კგძ/სმ$^2$; დეფორმაციის მოდული E=170 კგძ/სმ$^2$; მოცულობითი წონა $\rho$ =1.87 გ/სმ$^3$; ხვედრითი შეჭიდულობა C=0.17კგძ/სმ$^2$; შიგა ხახუნის კუთხე $\varphi$=22 $^0$

სადემონტაჟო შენობის საძირკველსა და მიმდებარე შენობების საძირკველს შორის ნორმებით გათვალისწინებული მანძილი შეადგენს:

$$a \geq \frac{\Delta h}{\mathrm{tg}\varphi 1+\frac{c1}{p}}$$

რადგანაც ანგარიში ხდება ყველაზე უარესი სცენარისთვის, მომიჯნავე შენობის ჩაღრმავებად მიღებულია 0.5 მ.

საიდანაც: $\Delta h$=3−0.50=2.50 მ; p=2.00 კგძ/სმ$^2$.

p - საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთვაა.

$a=\frac{\Delta h}{tg\varphi 1+\frac{c1}{p}}=\frac{2.5}{tg22+\frac{0.17}{2}}$ =5.11 მ < 8.2 მ. პირობა დაცულია!

შენობა 01/1 (01.19.36.013.046) წარმოადგენს მიშენებას 01/2 (01.19.36.013.012). ბარაკული ტიპის, შერეული ქვის წყობით, გადახურვა მსუბუქი ბურული ხის კოჭებზე, უსაძირკვლო. დემონტაჟი არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე.

ვინაიდან დემონტაჟი განხორციელდება ექვსივე მიწის ნაკვეთზე, პარალელურ რეჟიმში, დასაშვებია მძიმე ტექნიკის გამოყენება, გარდა 01/1 (ს/კ 01.19.36.013.037), სადაც შესაბამისი ზომები და წესები უნდა იქნას გათვალისწინებული. კერძოდ, დაუშვებელია მძიმე ტექნიკის და მაღალი ვიბრაციის მქონე ინსტრუმენტების გამოყენება. ამის გათვალისწინებით დემონტაჟი საფრთხეს არ წარმოადგენს.

წყალსადენ-წყალარინების ქსელების სიახლოვეს, სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, წყალსადენ-წყალარინების ქსელების სამსახურებთან კონსულთაციების და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩის №164-ში (ს/კ 01.19.36.013.011); №158-ში (01.19.36.013.037); №156 (01.19.36.013.027); № 154 (01.19.36.013.020), №152ღ (01.19.36.013.012); №66 (01.19.36.013.046); არსებული ყველა შენობა ნაგებობის დემონტაჟის პროექტი შედგენილია ანა ბოჟაძის მიერ და ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პირობებსა და მეთოდებს.

პროექტის მიხედვით, დემონტაჟის წინა მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;

--დროებითი ღობის დაყენება;

--გარე და შიდა ქსელების გამორთვა;

--სახურავიდან საჰაერო ქსელების მოხსნა;

--ნაგვის გატანა შიდა სივრციდან და ეზოდან;

--ასფალტის საფარის და ფილების აყრა;

--მრიცხველების მოხსნა;

სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით. უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!

აკრძალულია: ერთდროულად რამდენიმე სახის კონსტრუქციის დემონტაჟი!

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (საჭიროების შემთხვევაში), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი,აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება.

ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი და ღამის საათებში განათებით უზრუნველყოფილი. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

სამუშაოების თანმიმდევრობა იხილე: დემონტაჟის პროექტი.

შიდა ხარაჩოები უნდა იყოს ქარხნული ინვენტარული ტიპის. სიმაღლე---900მმ-1800მმ, სიგრძე—5500მმ, სიგანე –2400მმ, მასა 234კგ.

სამუშაო მოედანზე უნდა მოეწყოს გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები;

--მუშების ადგილმდებარეობა სადემონტაჟო ზონაში უნდა იყოს 1.0---1.5მ დაშორებით აწეული ელემენტისაგან.

ყველა სამუშაოს განხორციელება ხდება საქართველოს მთავრობის მოთხოვნათაგათვალისწინებით:

-- 2007წ 28 მარტის №62 დადგენილება –“მშენებლობის უსაფრთხოების წესები”;

-- 2017წ 27 ოქტომბრის №477 დადგენილება—“სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები”;

--2014წ 27 მაისის ტექნიკური რეგლამენტი-----“მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ”

--საქართველოს ორგანული კანონი “შრომის უსაფრთხოების შესახებ”

# დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩის №164-ში (ს/კ 01.19.36.013.011); №158-ში (01.19.36.013.037); №156 (01.19.36.013.027); № 154 (01.19.36.013.020) №152დ (01.19.36.013.012); №66 (01.19.36.013.046); არსებული შენობების დემონტაჟის, წარმოდგენილი დემონტაჟის პროექტის მიხედვით წარმოების შემთხვევაში, დემონტაჟი უარყოფითად არ იმოქმედების მომიჯნავეშენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე.


ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ.გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com

27.05.2026

დანართი 1




პირობითი აღნიშვნები:

- სადემონტაჟო შენობა
- შეთანხმებული დემონტირებ. შენობა
- დროებითი ნაგებობა
- საპრ. დროებითი ღობე
- საპროექტო დროებითი ღობე გადახურული
- დროებითი ჭიშკარი

ექსპლიკაცია:

1. დაცვის ჯიხური
2. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
3. გასახდელი
4. სველი წერტილი
5. მობილური ამწე
6. ექსკავატორი
7. ავტოთვითმცლელი

# CV

| | |
|---|---|
| სახელი გვარი | თამაზ გეგეჭკორი |
| დაბადების თარიღი: | 10.05.1951 წ. |
| დაბადების ადგილი: | მარტვილის რაიონი |
| მისამართი: | ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატო, I მკრ., I კორპ., ბ. 50 |
| ტელეფონი: | 555 51 95 08 |
| ოჯახური მდგომარეობა: | დაოჯახებული |

**განათლება:**

| | |
|---|---|
| 1957-68 | თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა |
| 1968-1973 | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი წარჩინებით, სპეციალობა – ინჟინერ-მშენებელი |
| 1973-77 | სეისმომედეგობის ინსტიტუტი, ასპირანტურა (დაუსწრებელი) |

**სამუშაო გამოცდილება:**

| | |
|---|---|
| 1973-77 | თბილზნიეპის მე-2 არქიტექტორულ სახელოსნო, ინჟინერ-კონსტრუქტორი (განაწილებით) |
| 1977-83 | ტიპიური პროქტების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპერტიზის განყოფილება, ჯგუფის ხელმძღვანელი, მშენებარე ობიექტის ტექნიკური ზედამხედველი |
| 1983-2000 | საქსახპროექტის მე-2 სამშენებლო განყოფილება, უფროსის მოადგილე, უფროსი. რესპუბლიკის მასშტაბით მრავალი სამრეწველო ობიექტის დაპროექტება და მათი მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა. |
| 1991-93 | მონაწილეობა რაჭაში მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული სახლების აღწერა და აღდგენა |
| 1994-98 | ქ. ფოთის პორტის რეკონსტრუქციის პროექტი |
| 2011-2016 | კერძო ფირმა შპს „GHP“, ინჟინერ-კონსტრუქტორი |
| 2016-დღემდე | შპს „ბალავერი“, შპს „ედრი“, შპს „გარანტი გრუპი“, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ექსპერტი |

ენების ცოდნა: ქართული – მშობლიური, რუსული – კარგად

მართვის მოწმობა: „B“ კატეგორია

# СВИДЕТЕЛЬСТВО О ПЕРЕМЕНЕ ФАМИЛИИ, ИМЕНИ, ОТЧЕСТВА
## გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის მოწმობა

Гражданин (ка)
მოქალაქე (ქალი)

родившийся (аяся)
დაბადებული

19

место рождения
დაბადების ადგილი

перемена (я) фамилии, имени, отчества на
გვარის, სახელი, მამის სახელი

о чем в книге регистрации актов о перемене фамилии, имени, отчества
მოწმობის ნომერი, ხელმოწერა, მამის სახელის გამოცვლის აქტების რეგისტრაციის წიგნში

произведена запись за №
ჩანაწერის ნომერი

Место регистрации

Дата выдачи
გაცემის თარიღი

10. 07 1982

I-ТИ № 263478

Изг. Госкомиздата Груз. ССР.

# დიპლომი

ფარნიანებით

ა № 001038


# ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

а № 001038






Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
თამაზ
TAMAZ
გვარი / LAST NAME
გეგეჭკორი
GEGETCHKORI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01010015476
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.05.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.04.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IB00660


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარტვილი
MARTVILI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.04.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB00660701010015476<<<<
5105106M2604251GE0<<<<<<<<<<<1
GEGETCHKORI<<TAMAZ<<<<<<<<<<<